



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი



ბრძანება:ბ40.40220636

თარიღი:04/03/2022

**სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის კორუფციული რისკების შეფასების
ანგარიშის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე. ე.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის კორუფციული რისკების შეფასების ანგარიში თანდართული დანართების სახით.
2. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

ვახტანგ გადელია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის

კორუფციული რისკების შეფასების ანგარიში

მარტი, 2022

1. კორუფციული რისკების შეფასების პროცესის აღწერა

კორუფცია დიდ საფრთხეს წარმოადგენს მდგრადი განვითარებისთვის, ზრდის სიღარიბეს და უთანასწორობას. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება და მათი აქტიური მონაწილეობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი არსებითი წინაპირობაა დემოკრატიული განვითარებისთვის. კორუფციის შედეგად ადგილობრივი მოხელეები არაეფექტიანად ასრულებენ საკუთარ ვალდებულებებს. შედეგად, არ მიიღება საზოგადოების ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილებები და ისინი გადაწყვეტილების მიმღები და მათთან დაკავშირებული პირების ინტერესების შესაბამისი უფროა.

შესაბამისად, მერიამ „სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 08 ოქტომბრის №1173 ბრძანების თანახმად, 2021 წლის ბოლოსათვის დაიწყო კორუფციული რისკების შეფასება და კორუფციული რისკების მართვის გეგმის შემუშავება. ამ მიმართულებით სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 02 აპრილის №428 სამართლებრივი აქტის საფუძველზე შეიქმნა და სტრუქტურული ერთეულების - სამსახურის უფროსებისგან დაკომპლექტდა სამუშაო ჯგუფი (ვახტანგ გადელია - მუნიციპალიტეტის მერი; ჯგუფის ხელმძღვანელი; გრიგოლი ბაღათურია - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; ჯგუფის წევრი; ნანა ზარანდია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი; ჯგუფის წევრი/მდივანი; გიორგი ბაღათურია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი; ჯგუფის წევრი; დონარა ალანია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი; ჯგუფის წევრი; ჯულიეტა ჩოჩია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსი; ჯგუფის წევრი; ვახტანგი ფაცაცია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი; ჯგუფის წევრი; ედიკა ბერაია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი; ჯგუფის წევრი; გივი მისაბიშვილი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი;

ჯგუფის წევრი; ნატალია ხუბუა - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი; ჯგუფის წევრი), რომელთა მხრიდან დეტალურად იქნა შესწავლილი მერიის საქმიანობასთან დაკავშირებული შესაძლო კორუფციული რისკები და შედგენილი იქნა კორუფციული რისკების რეესტრი. კერძოდ, კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით განხორციელდა ინფორმაციის შეგროვება, რისკების გამოვლენა და რისკების შეფასება/დახარისხება.

2. რისკების შეფასების შედეგების აღწერა

კორუფციული რისკების შეფასებისას რაიმე სახის სირთულეებს ადგილი არ ჰქონია.

რისკების შეფასების შედეგად მთლიანობაში გამოვლინდა 5 კორუფციული რისკი: სატენდერო კომისიის წევრი არ აფიქსირებს ინტერესთა შეუთავსებლობას ტენდერში მონაწილე კომპანიასთან; საჯარო მოსამსახურე/თანამდებობის პირი არ აფიქსირებს ინტერესთა შეუთავსებლობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში; თანამშრომლის დაქვეითება/გათავისუფლება ხდება პოლიტიკური ან სხვა უკანონო ნიშნით; საჯარო მოსამსახურე/თანამდებობის პირის მიერ უკანონო საჩუქრის მიღება; თანამდებობის პირი პირადი მიზნებისათვის იყენებს თანამდებობრივ უფლებამოსილებას.

გამოვლენილი შესაძლო კორუფციული რისკების გამომწვევი მიზეზებია: დაბალი ცნობიერება; ინტერესთა შეუთავსებლობის მონიტორინგის არარსებობა; მკაცრი ინსტრუქცია/მექანიზმების არარსებობა, რომლის გამოყენებითაც თანამდებობის პირს შეუძლია თავიდან აიცილოს ინტერესთა შეუთავსებლობა; გასაჩივრების მექანიზმების არარსებობა/სისუსტე; თანამშრომლების უკანონო გათავისუფლებისთვის არასაკმარისი გარანტიების არსებობა; უკანონო საჩუქრის შეთავაზების/მიღების შესახებ შეტყობინების მექანიზმის არარსებობა.

რისკების შეფასების პროცესში მოექცა მერიის სისტემის ყველა სფერო.

3. კორუფციული რისკების მართვის გეგმა

გამოვლენილ რისკებს შორის მეტად მწვავედ შეფასებულ იქნა შემდეგი რისკი - თანამშრომლის დაქვეითება/გათავისუფლება ხდება პოლიტიკური ან სხვა უკანონო ნიშნით. ამ რისკის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია ცნობიერების ამაღლება და გასაჩივრების მექანიზმების გაძლიერება. პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამსახური და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირები.

პირველ რიგში, შესაძლო კორუფციული რისკებს შორის მისახედია ის რისკები, რომლებიც სიმწვავის მიხედვით მიჩნეული არიან საშუალო რისკად:

✓ თანამდებობის პირი პირადი მიზნებისათვის იყენებს თანამდებობრივ უფლებამოსილებას

რისკის მართვის ღონისძიება: ეფექტური შემოწმების პროცესის დანერგვა; ტრენინგების მეშვეობით ცნობიერების ამაღლება. ამ ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებელია ადმინისტრაციული სამსახური და მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი/დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და კერძო სამართლის იურიდიული პირები.

კორუფციული რისკების შეფასების ანგარიში დამტკიცდება 2022 წლის თებერვლის ბოლოს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტის საფუძველზე. ამასთანავე, რისკების შეფასების პროცესი განმეორდება 2023 წლის დასაწყისში და ანგარიში განახლდება ყოველწლიურად, რათა გაიზომოს პროგრესი.

